შიდა პოლიტიკა

1. ***კონსტიტუცია და პოლიტიკური სისტემა:*** *როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს კონსტიტუციის და სახელმწიფო მოწყობის მიმართ? აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას?*

ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებები ცვლის მთავრობის სტრუქტურას და აბალანსებს ძალაუფლებას ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული ძალაუფლების კონცენტრირება, აძლიერებს კერძო საკუთრების დაცვას, სასამართლოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობას და ზრდის პოლიტიკური პარტიების როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამით იზრდება ოპოზიციის შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისა და ანგარიშვალდებულების პროცესში, აადვილებს ჩართულობასა და დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის განვითარებას, აძლიერებს პოლიტიკურ სტაბილურობას და ამცირებს კონფრონტაციის ინსტიტუციურ მიზეზებს. ცვლილებები ქმნის კარგ საფუძველს პოლიტიკური სისტემის შემდგომი განვითარებისთვის.

ცვლილებები აწესებს მმართველობის ე.წ. „შერეულ სისტემას“ - ძლიერი პარლამენტი, მთავრობა, რომელიც ფორმირებული და პირდაპირ ანაგრიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და პრეზიდენტი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებში, არის შეირაღებული ძალების მთავარსარდალი.

2. ***განათლება:*** *როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ და რა პოლიტიკას გვთავაზობთ დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?*

ჩვენი მიზანია, უზრუნველვყოთ მაღალი ხარისხის, საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი სასკოლო, აკადემიური და პროფესიული განათლება საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, რაც დაეხმარება მათ შესაბამისი კვალიფიკაციის მიღებაში და გაზრდის დასაქმებულთა რიცხვს. გაგრძელდება უმაღლეს სასწავლებლებს შორის კონკურენციის შემდგომი წახალისება, სწავლებისა და კვლევის უფრო მეტად ინტეგრირება და უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიურობის გაძლიერება.

პროფესიულმა სასწავლებლებმა და გადამზადების ცენტრებმა უნდა აღჭურვონ კურსდამთავრებულები იმ ცოდნითა და კვალიფიკაციით, რაც დაეხმარებათ დასაქმებაში და, ამასთანავე, შეავსებს დეფიციტურ კადრებს. ამიტომ, განათლების სისტემის მხარდაჭერის მიზნით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაიხარჯება 4 მილიარდი ლარი. ეს ნიშნავს:

- მოხდება ყველა საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;
- აშენდება 150 ახალი სკოლა;
- გაიხსნება ბათუმის ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი;
- გაიხსნება 3 ახალი სახელმწიფო პროფესიული კოლეჯი;
- გაიხსნება 300 მომავლის კლასი;

- დაზღვეული იქნება ყველა მოსწავლე;
- დაზღვეული იქნება ყველა სტუდენტი;
- გაგრძელდება და გაფართოვდება სტუდენტების საზაფხულო დასაქმების პროგრამა;
- ყველა წარჩინებულ სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია;
- გაგრძელდება მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ გაცემა;
- გაორმაგდება უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტთა რაოდენობა;
- ყველა პირველკლასელს და ფრიადოსანს (საბაზო საფეხურის წარჩინებული კურსდამთავრებული) გადაეცემა პერსონალური კომპიუტერი;
- სერთიფიცირებული მასწავლებლის საშუალო ხელფასი იქნება 600 ლარი, ხოლო საუკეთესო 25% ხელფასი - 1000 ლარი;
- მოხდება წარმატებული სტუდენტების სწავლისა და ცხოვრების დაფინანსება მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში.

განათლების სფეროში განხორციელებული ამ ღონისძიებების მთავარი მიზანი იქნება უფრო ხარისხიანი განათლება, უფრო უკეთესი სასკოლო ინფრასტრუქტურა და უფრო პროფესიონალი და დაფასებული პედაგოგები.

3. დასაქმება: *რა ნაბიჯებს გადადგამთ უმუშევრობის დასაძლევად?*

უმუშევრობის დაძლევის საუკეთესო საშუალება ეკონომიკური პროგრესი და ბიზნესის განვითარებაა. სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობის შექმნა უმუშევრობის პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტაა. სწორედ ამიტომ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრიორიტეტი კერძო ინიციატივის წახალისება და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაა.

იმისათვის, რომ ვებრძოლოთ ამ პრობლემას, სახელმწიფო და საზოგადოება უნდა ფლობდეს დეტალურ ინფორმაციას უმუშევრობის შესახებ. ამიტომ შეიქმნა დასაქმების სახელმწიფო სამინისტრო, რომელიც აწარმოებს უმუშევართა და დამსაქმებელთა რეესტრს. ეს ინსტიტუტი სამსახურის მაძიებელს დაეხმარება სამსახურის პოვნაში, ხოლო დამსაქმებელს ხელს შეუწყობს სასურველი კადრების მოძიებასა და დასაქმების ახალი შესაძლებლობების განვითარებაში. უმუშევრობის პრობლემის მოგვარების მიზნით, ასევე, მნიშვნელოვანი იქნება პროფესიული გადამზადების სისტემის დახვეწა და ეფექტური გამოყენება. ყველა მსურველი სახელმწიფოსგან მიიღებს პროფესიული გადამზადების ვაუჩერს, რაც მთლიანად უფასოს გახდის განათლების პროცესს ამ მიმართულებით.

რამდენადაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წყარო კერძო ბიზნესის ზრდა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაა, ჩვენი ამოცანაა, ვიზრუნოთ ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე და გავაგრძელოთ ინფრასტრუქტურული პროექტები. ეს საშუალებას მოგვცემს, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები:

- მოზიდული იქნება 4 მილიარდზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რაც ნიშნავს დამატებით, დაახლოებით, 80 000 ახალ სამუშაო ადგილს;
- ტურისტების რაოდენობა გაიზრდება 7 მილიონამდე, რაც ნიშნავს ტურიზმის სექტორში შექმნილ, დაახლოებით, 140 000 სამუშაო ადგილს;
- დაიგება 5000 კილომეტრი გზა, რაც ნიშნავს სტაბილურად დასაქმებულ, დაახლოებით, 40 000 ადამიანს;
- გაგრძელდება ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. აღნიშნული პროექტები შექმნის დამატებით, დაახლოებით, 13 000 სამუშაო ადგილს.

აღნიშნული ღონისძიებების საერთო მიზანი იქნება, გადამწყვეტი დარტყმა მივაყენოთ უმუშევრობას და თითოეულ ადამიანს მივცეთ შესაძლებლობა, ახალი ცოდნით, ახალი კვალიფიკაციით იპოვოს თავისი ადგილი უფრო ძლიერ საქართველოში.

4. ჯანდაცვა: *რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებად?*

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიზანია, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი იყოს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება.

ჯანდაცვის ასეთი სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს პაციენტზე, რისთვისაც მნიშვნელოვანია, გაიზარდოს ჯანდაცვის ობიექტების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა. ჩვენ გავაგრძელებთ მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საავადმყოფოების მშენებლობა/რეაბილიტაციას; სამედიცინო მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად, საავადმყოფოების თანამედროვე აღჭურვასთან ერთად, გადამზადდება კადრები, რათა პაციენტებმა მიიღონ გარანტირებული უსაფრთხო, მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება. ვფიქრობთ, ექიმთა მონაწილეობა უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესში აუცილებელია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პრაქტიკის გასავითარებლად; ამასთანავე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, პაციენტს მიეცეს არჩევნის გაკეთების საშუალება, რითაც დაცული იქნება მისი უფლებები.

ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი ჯანდაცვის მისაღწევად გაგრძელდება სადაზღვევო სისტემის განვითარება, რათა მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს მაღალხარისხიანი ჯანდაცვის მისაღებად ჩაერთოს სახელმწიფო თუ კერძო სადაზღვევო სქემებში. უახლოეს მომავალში შეიქმნება საბაზო სადაზღვევო პაკეტი, რომელშიც შევა როგორც ამბულატორიული მომსახურება, ასევე, წამლების თანადაფინანსების გაზრდილი სია. ამ სადაზღვევო პაკეტით წლის ბოლოს საქართველოში სახელმწიფოს მიერ დაზღვეული იქნება ყველა სოციალურად დაუცველი ადამიანი, ასევე 0-დან 6 წლამდე ბავშვები, სტუდენტები, ჯარისკაცები, მასწავლებლები, პოლიციელები, იძულებით გადაადგილებული პირები და ყველა პენსიონერი. ასევე, უახლოეს მომავალში ყველა მოქალაქეს, რომელიც არ მიეკუთვნება აღნიშნულ ჯგუფებს, ექნება საბაზისო სადაზღვევო პაკეტი. ყოველივე ეს შესაძლებლობას მისცემს ჩვენს მოქალაქეებს, თავი იგრძნონ უსაფრთხოდ, არ შეეშინდეთ ექიმთან მისვლა და ჩაიტარონ სათანადო გამოკვლევა და მკურნალობა.

5. ***სოციალური უსაფრთხოება:*** *რა ინიციატივებით (თუკი ასეთი გაქვთ) გამოდიხართ სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით.*

ჩვენი მიზანია, საქართველოს ყველა მოქალაქე იყოს სოციალურად დაცული და ჰქონდეს ღირსეულად ცხოვრებისა და კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობა.

სოციალურად დაუცველები გააგრძელებენ მათთვის დღეს უკვე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობას, ყველა ბავშვს, დაბადებიდან 5 წლის ჩათვლით, ექნება საბავშვო დაზღვევა, ისევე, როგორც ყველა სხვა კატეგორიის მოქალაქეს - ჯანმრთელობის დაზღვევის საბაზისო პაკეტი. ეს პაკეტი გათვლილი იქნება იმაზე, რომ უბედურმა შემთხვევამ ანდა მოულოდნელმა მძიმე ავადმყოფობამ ოჯახის გაღატაკება არ გამოიწვიოს.

სოციალური დახმარების მიზნით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაიხარჯება 3 მილიარდი ლარი. გაგრძელდება დევნილთა დახმარების პროგრამები. გასული წლების განმავლობაში ბათუმში, ფოთში, წყალტუბოში აშენდა 64 ახალი კორპუსი, რომელშიც დღეს უკვე ცხოვრობს 1800-ზე მეტი ოჯახი, გარემონტდა საცხოვრებელი ფართები 15 000-მდე დევნილი ოჯახისთვის. დღეს ყველა ეს ბინა მათი საკუთრებაა. ეს პროცესი კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ამ მიზნით აშენდება ახალი კორპუსები და გარემონტდება შენობები, რომლებშიც ბინები საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემათ დევნილებს. ეს ამოცანა ხორციელდება იმ დათქმით, რომ მათი, როგორც საქართველოს მოქალაქეების უფლება – დაბრუნდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ისევე, როგორც მათი საკუთრების უფლებები, შეუქცევადია.

სახელმწიფო ზრდის პენსიას, ქმნის წინაპირობებს, რომ ადამიანები დასაქმდნენ, უფრო ხელმისაწვდომს ხდის ჯანდაცვას, მაგრამ არავინ იცის ყოველი კონკრეტული ოჯახის პრობლემები და საჭიროებები იმაზე უკეთ, ვიდრე თავად ამ ოჯახმა და ოჯახის წევრებმა.

სწორედ ამიტომ, თითოეულ ოჯახს გადაეცემა ოთხწლიანი 1000-ლარიანი ვაუჩერი, რათა მათ თავად გადაწყვიტონ, რა პრობლემა მოაგვარონ ამით, დაფარონ დენის, გაზის, წყლის ან სხვა კომუნალური ხარჯები, შეიძინონ სასკოლო სახელმძღვანელოები ბავშვებისთვის, შეიძინონ საჭირო მედიკამენტები თუ მოიმარაგონ საწვავი და სასუქი სასოფლო სამუშაოებისთვის, დაიქირაონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

6. ***ეკონომიკა:*** *როგორია თქვენი გეგმა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული თქვენს ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტული ინიციატივები გაქვთ?*

ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, უზრუნველვყოთ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი. ნომინალური წლიური ეკონომიკური ზრდის 12-პროცენტიან ნიშნულზე შენარჩუნების პირობებში, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაორმაგდება შემდეგი 5-6 წლის განმავლობაში და გაათმაგდება შემდეგ 10-12 წელიწადში. ზრდის ამ დინამიკის პირობებში, ქართული ეკონომიკა ყოველწლიურად გაიზრდება 3-3.5 მილიარდი ლარით. აღნიშნული პირდაპირ უკავშირდება ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. რაც მთავარია, აღნიშნული ეკონომიკური ზრდა უნდა მოიცავდეს ეროვნული ეკონომიკის ყველა სექტორს, რაც გაზრდის დინამიკას, უფრო მეტ

მდგრადობას შეძენს და მეტ სარგებელს მოუტანს ყველა ჩვენს თანამემამულეს, ყველა ოჯახს. ძლიერი ქართული ოჯახი - ეკონომიკურად ძლიერი საქართველოა.

ამისათვის, უზრუნველყოფილი იქნება:

- მაკროეკონომიკური სტაბილურობა - ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი, დაბალი საბიუჯეტო დეფიციტი და ინფლაციის მისაღები დონე, ხარჯებისა და ვალდებულებების გონივრული დაგეგმვა და მართვა;

- სამაგალითო და არაკორუმპირებული სამეწარმეო გარემო - დაბალი და მარტივად ადმინისტრირებადი გადასახადები, რეგულირების ადეკვატური მოდელი, მოსახერხებელი, სწრაფი და მაღალხარისხიანი სახელმწიფო მომსახურება, კორუფციისგან თავისუფალი გარემო;

- ღია, მრავალფეროვანი და მიმზიდველი ეკონომიკური და საინვესტიციო გარემო - თავისუფალი სავაჭრო კავშირები დიდ და პერსპექტიულ ეკონომიკებთან და ბაზრებთან, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების მოძრაობისა და მიწოდების თავისუფლება, სამაგალითო საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

- განვითარებული ინფრასტრუქტურა - სატრანსპორტო არტერიების განვითარება და სწრაფი და კომფორტული მიღწევადობა, მდგრადი ენერგომომარაგების უზრუნველყოფა, კონკურენტული და ხელმისაწვდომი განათლება და სოციალური ინფრასტრუქტურა.

ამ მიდგომებმა უკვე გამოიღო შედეგი და უზრუნველყო ვარდების რევოლუციის შემდეგ ეკონომიკის თვალსაჩინო ზრდა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის სწრაფად დაძლევა. ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულმა უმნიშვნელოვანესმა სტრუქტურულმა რეფორმებმა შექმნა ის მყარი საფუძველი, რომელიც დღეს განაპირობებს ჩვენს შემდგომ ეკონომიკურ წინსვლას და ეკონომიკურ მდგრადობას.

7. ეკონომიკა: *როგორ აპირებთ ინფლაციის კონტროლს? რა მიდგომებს გამოიყენებთ ამისათვის?*

საქართველო არის მცირე ღია ეკონომიკა, რაც ნიშნავს იმას, რომ გლობალური ინფლაციური ტენდენციები გარკვეულწილად აისახება ქვეყანაში ფასთა დინამიკაზე. ამის გათვალისწინებით, საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთობლიობა ბოლო წლების განმავლობაში ყოველთვის იყო მიმართული იმაზე, რომ მოგვეხდინა გლობალური ფასების დინამიკიდან გამომდინარე რყევების მაქსიმალური ნეიტრალიზაცია და, შეძლებისდაგვარად, შეგვენარჩუნებინა ფასების სტაბილურობა.

ერთნიშნა ინფლაციის შენარჩუნება არის ეკონომიკური სიჯანსაღისა და კერძო სექტორის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა. ეს ამოცანა ბოლო 8 წლის განმავლობაში არსებითად შესრულდა და საშუალო ინფლაციის დონე, დაახლოებით, 7% იყო.

ეკონომიკურ ამოცანას წარმოადგენს გრძელვადიან პერიოდში ამ მაჩვენებლის 5-7%-ის ფარგლებში შენარჩუნება, რაც საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების

გათვალისწინებით ადეკვატური ნიშნულია. საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა (ინფლაციის კონტროლი) საქართველოს ეროვნული ბანკის ამოცანაა.

საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს მთავრობა, ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის კოორდინაციის საშუალებით უზრუნველყოფენ ეროვნული ვალუტის მდგრადობას, სანდოობას და ინფლაციის კონტროლს.

გარე ფაქტორებით გამოწვეული ე.წ. „ეგზოგენური“ ინფლაციის რისკებთან ბრძოლის ეფექტურობა უკავშირდება ქვეყანაში დანერგილი ლიბერალური ეკონომიკური მოდელის სიმყარის შენარჩუნებას, ეკონომიკის ზრდას და სტრუქტურულ განვითარებას, სავაჭრო დივერსიფიკაციას და კონკურენტული ბიზნესგარემოს შენარჩუნებას.

8. გადასახადები და ფისკალური პოლიტიკა: *გთხოვთ, აღწეროთ თქვენი პოლიტიკა საგადასახადო და ფისკალურ რეჟიმთან მიმართებაში და დაასახელოთ/განიხილოთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ამ მხრივ.*

გლობალური ეკონომიკური კრიზისისა და საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის ეკონომიკური შედეგების მინიმიზაციის მიზნით და ეკონომიკის განვითარებისთვის 2008-2011 წლებში გამოვიყენეთ ფისკალური პოლიტიკა. 2009 წელს შემუშავდა ფისკალური კონსოლიდაციის (საბიუჯეტო დეფიციტის თანმიმდევრული შემცირების) გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 2013 წელს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას 3%-მდე (2009 წელს ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა 9.2%-ს). ფისკალური კონსოლიდაციის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები წარმატებით განხორციელდა. 2012 წელს დეფიციტის მაჩვენებელი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში დაგეგმილია 3.5 პროცენტის ნიშნულზე და აღნიშნული შეფარდება 2013 წელს შემცირდება 3 პროცენტამდე, რაც ქვეყნის ფისკალურ მდგრადობას უზრუნველყოფს და სწორი საბიუჯეტო და საგადასახადო დაგეგმარების შედეგია.

გაგრძელდება ხარჯების გონივრული დაგეგმვა და მართვა, ბიუჯეტის საოპერაციო ბალანსი შენარჩუნებული იქნება დადებით ნიშნულზე, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი დეფიციტი 2013 წელს შემცირდება 3%-მდე. ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდოს პირობებში, ე.წ. კაპიტალურ პროექტებზე (მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა, საგზაო, ტურისტული, რეგიონული, ურბანული, მუნიციპალური, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა) მნიშვნელოვანი ასიგნებების მიმართვა უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, ქვეყნის მდგრად განვითარებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ამასთან, საგადასახადო კუთხით რეფორმები ჯერ კიდევ 2004 წლიდან დაიწყო და 21 ტიპის გადასახადი შემცირდა 6 ტიპის გადასახადამდე. შემცირდა ცალკეული გადასახადების განაკვეთებიც. საგადასახადო წნეხი საქართველოში მართლაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში.

წარმატებით განხორციელდა მუშაობა გადასახადების ადმინისტრირების და გადასახადის გადამხდელთა მომსახურების სისტემების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის,

ელექტრონული სერვისების დანერგვის კუთხით. ამ მიმართულებებით სამუშაოები დღესაც მიმდინარეობს, რათა საქართველოში მოღვაწე ბიზნესებს მაქსიმალურად გავუმარტივოთ ურთიერთობა სათანადო სახელმწიფო სტრუქტურებთან. აღნიშნული მიზნად ისახავს გადასახადის გადამხდელთათვის კომფორტული და სამართლიანი გარემოს შექმნას.

9. ***სახელმწიფო ხარჯები:*** *დაასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, თუკი გაქვთ გამოკვეთილი ასეთი პოზიცია.*

ბიუჯეტის ხარჯების და არა ფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა მშპ-თან მიმართებაში უნდა შენარჩუნდეს 30%-ის მიდამოებში. სწრაფად მზარდი ეკონომიკის პირობებში, აღნიშნული შეფარდება იძლევა საშუალებას, რათა, ერთი მხრივ, უზრუნველვყოთ სახელმწიფო ასიგნებების, მათ შორის, სოციალური ხარჯების ადეკვატური და მზარდი დონე, ხოლო, მეორე მხრივ, შევინარჩუნოთ ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი, რათა ჩამოყალიბდეს ეკონომიკური განვითარების მდგრადი მოდელი, სადაც დინამიკური კერძო სექტორი არის ძირითადი დამსაქმებელი და ეკონომიკური განვითარების საკვანძო მოტივატორი.

10. ***სახელმწიფო ვალი და საბიუჯეტო დეფიციტი:*** *როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალის და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ? რა პოლიტიკას გაატარებთ ამ მიმართებით?*

საბიუჯეტო დეფიციტის გონივრული მართვა არის ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების საწინდარი. 2009-2012 წლებში წარმატებულად მიმდინარეობს ფისკალური კონსოლიდაცია ანუ ბიუჯეტის დეფიციტის თანმიმდევრული შემცირება. 2013 წელს დაგეგმილია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება 3%-მდე. საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობა მიღწეული იქნა წლების მანძილზე სახელმწიფო ვალის პრაგმატული და კონსერვატიული მართვის შედეგად, აგრეთვე, ქვეყნის მიერ მოზიდული საკრედიტო რესურსის გრძელვადიანი განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად გამოყენებით. უცხოური წყაროებიდან მიღებული საკრედიტო რესურსი, ძირითადად, მიიმართება მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

სახელმწიფო ვალის მოცულობის შეფარდება მშპ-თან მიმართებაში კლებადი ტენდენციით ხასიათდება. 2011 წელს აღნიშნულმა შეფარდებამ 36.7 პროცენტი შეადგინა. 2012 წლის ბოლოს ეს შეფარდება კიდევ უფრო შემცირდება, სავარაუდოდ, 35 პროცენტამდე. ეს პოზიტიური ტენდენცია შენარჩუნებული იქნება მომდევნო წლებშიც. სახელმწიფო ვალის მართვის მნიშვნელოვანი ამოცანაა - სახელმწიფო ვალის პორტფელის არსებული ხელსაყრელი მახასიათებლების შენარჩუნება. ამჟამად, საქართველოს სახელმწიფო ვალი, ძირითადად, შეღავათიანია. ძალიან დაბალი საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი (მხოლოდ წლიური 2% საგარეო სახელმწიფო ვალის მთლიან პორტფელზე) და ვალის დაფარვის შეღავათიანი გრაფიკი - ეს არის ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო ვალის მომსახურების კოეფიციენტების სტაბილურად ჯანსაღ დონეს.

11. ***ეკონომიკა:*** *გთხოვთ, დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც 2016 წელს შესაძლებელი იქნება შეფასდეს თქვენი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის შედეგები.*

მშპ-ის რეალური ზრდის მაღალი დონე (საბაზისო სცენარით 7%-ის ფარგლებში, თუმცა დღევანდელი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით ვვარაუდობთ ზრდის უფრო მაღალ დონეს);

ბიუჯეტის დეფიციტი - მშპ-ის 3%-ის ფარგლებში;

ბიუჯეტის ხარჯების და არა ფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა - მშპ-ის 30%-ის ფარგლებში;

სახელმწიფო ვალის შეფარდება მშპ-თან - მაკროეკონომიკურად ჯანსაღ და მისაღებ დონეზე.

ერთნიშნა ინფლაცია, საბაზისო სცენარით 5-7%-ის ფარგლებში (რაც, გამომდინარე საქართველოში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ტემპიდან, ადეკვატურ ნიშნულს წარმოადგენს).

12. თავდაცვის პოლიტიკა: *როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია?*

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მიაჩნია, რომ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდა საქართველოს უსაფრთხოების შეცვლილი გარემოს გათვალისწინებით. შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების გზაზე ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია.

ჩვენი თავდაცვის ორგანიზაცია ეფუძნება ,,ტოტალური თავდაცვის" პრინციპს, რაც გულისხმობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას და მოსახლეობის სათანადო მომზადებას. ტოტალური თავდაცვის უმნიშვნელოვანესი ნაწილი არის სამოქალაქო თავდაცვის სისტემის დანერგვა, სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარება და რეზერვის გაძლიერება. ამასთანავე, გაგრძელდება ჯარის მომზადება, საერთაშორისო წვრთნები და ტრენინგები, აგრეთვე, აღჭურვა თანამედროვე შეიარაღებით. კიდევ ერთი პრიორიტეტია სამხედრო აღჭურვილობის და იარაღის წარმოება.

თავდაცვის სისტემის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

მიიჩნევს რა საერთაშორისო სამართალსა და ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას ეროვნული თავდაცვის ერთ-ერთ ქვაკუთხედად, საქართველო გააგრძელებს საერთაშორისო ნორმების განუხრელ დაცვას, მათ შორის, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეგულაციებისა და ევროკავშირის მონიტორინგის მისიასთან დადებული მემორანდუმების შესრულებას.

13. იძულებით გადაადგილებული პირები: *რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?*

ჩვენი მთავარი მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეული დაბრუნება, ხოლო საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაციამდე ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა. დევნილთა პირობების გაუმჯობესებაზე მუშაობის პერიოდში ყალიბდება და ინერგება ახალი მიმართულებები. ჩვენი მიზანია, გაგრძელდეს დევნილთა დახმარების პროგრამები. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამუშაო ადგილების შექმნა და მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებამდე. რეგიონებში ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო პროექტები, რომელთა მიზანია, ხელი შეუწყოს დევნილებს სიღარიბის დაძლევაში და ჩართოს ახალგაზრდები ეკონომიკური განვითარების ინიციატივებში, რაც დევნილ ოჯახებს საშუალებას მისცემს, იქონიონ საკუთარი შემოსავლის წყარო და გაიუმჯობესონ საყოფაცხოვრებო პირობები. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოთხწლიანი პროგრამის პრიორიტეტია დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება როგორც საცხოვრებელი ფართით, ისე დასაქმებით, ჯანდაცვის გაუმჯობესებითა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობით, ასევე, ახალი პროგრამის ამოქმედება, რომელიც გაამარტივებს კომუნიკაციას და შეგროვებული კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე შეისწავლის დევნილთა საჭიროებებს.

14. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: *რა პოლიტიკის გატარებას აპირებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?*

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა მოხდეს მშვიდობიანი გზით, რისთვისაც აუცილებელია შემდეგი პოლიტიკის გატარება: ქვეყნის საერთო ეკონომიკურ-ინსტიტუციონალური განვითარება და რეფორმებით მიღწეული წარმატებების განმტკიცება, პარტნიორებთან ერთად რუსეთის ფედერაციაზე დიპლომატიური ზეწოლის გაგრძელება, რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ ერთმანეთისგან განცალკევებულ თემებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობა, ოკუპაციის ხაზის ორივე მხარეს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩართვა საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში; ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება, რაც შესაძლებელს გახდის გამყოფ ხაზებს შორის მოსახლეობის მიმოსვლას და საქონლის მოძრაობას; ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ჯანდაცვის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა ოკუპაციის ზონაში მცხოვრები ადამიანებისთვის; ერთობლივი პროექტებისა და საქმიანობების მხარდაჭერის მეშვეობით თავისუფალი გადაადგილება.

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაცია, იქ მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო რეინტეგრაცია და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის აღდგენა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთავარი მიზანია. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს მიერ ცალმხრივად აღებულ ვალდებულებას ცეცხლის განუახლებლობის შესახებ და მივესალმებით ყველა რეალისტურ სამშვიდობო წინადადებასა და ინიციატივას, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციას. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ოკუპირებულ

ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასთან მუდმივი და ინტენსიური კონტაქტი ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენის პროცესის დაჩქარებას. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება შესაბამისი ფორმატებითა და წამახალისებელი მექანიზმების გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის დაახლოებას ქვეყნის დანარჩენი რეგიონების მცხოვრებლებთან. ჩართულობის პოლიტიკის წარმატებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია ჰუმანიტარული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა კოორდინირების გზით.

15. ***უმცირესობათა უფლებები:*** *რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?*

საქართველოს განვითარების საწინდარი მისი მრავალეთნიკური საზოგადოების სამოქალაქო ინტეგრაციაა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უმცირესობათა უფლებების დაცვას და აღიარებს, რომ ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა, ისე, როგორც ეს დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციით. უმცირესობებისთვის საყოველთაო თანასწორობა, განათლების, მედიისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ასევე, მზადაა განუხრელად იზრუნოს მათი უფლებების შემდგომ განმტკიცებაზე საკანონმდებლო გარანტიებით.

ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩასაბარებლად კვოტირების სისტემის შემოღებამ მნიშვნელოვნად გაზარდა იმ აბიტურიენტთა რიცხვი, რომლებიც ქართულ უნივერსიტეტებში აბარებენ. მათი შემდგომი ინტეგრაციისთვის აუცილებელია უმცირესობათა ჩართვა სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ კულტურულ ღონისძიებაში. ეუთოს ანგარიშის თანახმად, ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ჰყავდა ეროვნულ უმცირესობათა კანდიდატების ყველაზე დიდი რაოდენობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ წარმოებული კამპანია სხვა პარტიებთან შედარებით უფრო აქტიური იყო და იგი ხორციელდებოდა აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე დაბეჭდილი მასალების მეშვეობითაც.“ ჩვენ ვაპირებთ იგივე პოლიტიკის გაგრძელებას და მივესალმებით მათ უფრო მეტ ჩართულობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

16. ***ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში:*** *ეუთოს წევრ სახელმწიფოთა შორის საქართველო ბოლო ადგილზეა საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის წევრ ქალთა რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გასაზრდელად.*

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიზანია, ხელი შეუწყოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარ მონაწილეობას. ამ მიზნის განხორციელებისთვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა პოლიტიკური პარტიების წახალისების ზომების შემოღება. ამის მაგალითია საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილება, რომლის მიხედვითაც, თუკი რომელიმე პარტიას არჩევნების დროს პარტიულ სიაში ყოველ 10 ადამიანზე წარმოდგენილი ეყოლება 2 განსხვავებული სქესის ადამიანი, მიიღებს 10%-ით მეტ სახელმწიფო დაფინანსებას.

პარტიაში შექმნილია ახალი სტრუქტურული ერთეული - გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, რომლის ამოცანებია: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აგრეთვე, ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის ყველა დონეზე.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ხელს უწყობს სამშვიდობო პროცესებში ქალთა ფართო, აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე. მსგავსი და სხვა აქტივობების მხარდასაჭერად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის ინიციატივით საქართველოს პარლამენტში შექმნილია გენდერული საბჭო.

17. ***გარემოს დაცვა/ეკოლოგია:*** *გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისკენ.*

უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა ქვეყნის მოქალაქეებისთვის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. საქართველოს ბუნებრივი გარემოს, მისი ბიომრავალფეროვნების დასაცავად და ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

უფრო ჯანმრთელი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელად მიზნად ვისახავთ: დავნერგოთ ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემები; უზრუნველვყოთ საქართველოს უნიკალური ეკოსისტემების, სახეობათა მრავალფეროვნების და გენეტიკური რესურსების დაცვა და რეაბილიტაცია; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მივაწოდოთ მოსახლეობას უსაფრთხო სასმელი წყალი; მინიმუმამდე დავიყვანოთ ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული შესაძლო ზიანი და ეკოსისტემების გაუმართაობის გამო მიღებული ეკონომიკური ზარალი; უზრუნველვყოთ საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საადაპტაციო ღონისძიებების გატარებით და სათბური გაზების ემისიების შემცირებით; დავიცვათ ტყის რესურსები, ჩავატაროთ ქვეყნის ტერიტორიის რადიოაქტიური და სხვა მავნე ნარჩენებისგან გაწმენდის სამუშაოები, მოვახდინოთ შავი ზღვის დაბინძურების პრევენცია და სხვა.

სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აქტიურად მიმდინარეობს ინერტული მასალის გატანა, რაც, გარემოს დიდ ზიანს აყენებს. ჩვენ, საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით, გამოვიყენებთ ყველა საშუალებას იმისთვის, რომ შევაჩეროთ საოკუპაციო რეჟიმი და არ დავუშვათ შავი ზღვის სანაპიროს ეკოლოგიური კატასტროფა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორებიცაა წყალდიდობა, ზვავი, მეწყერი, მიწისძვრა, ასევე, სამრეწველო ავარიების პრევენციას, რათა არ შეექმნას საფრთხე გარემოს.

შემუშავებული იქნება ისეთი პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრებას.

18. საგარეო პოლიტიკა: *გთხოვთ, განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და რა სტრატეგიის განხორციელებას აპირებთ ამ პრიორიტეტების რეალიზაციისთვის.*

საქართველო არის ლიბერალური ფასეულობებისა და ღირებულებების მატარებელი სუვერენული სახელმწიფო, რომელიც დაფუძნებულია დემოკრატიულ პრინციპებზე, ამიტომ საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ემყარება თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტია ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება. ნატოს აქვს განსაკუთრებული როლი ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში. ნატოში საქართველოს გაწევრიანებას ემსახურება თანამშრომლობის ისეთი ფორმატები, როგორიცაა ნატო-საქართველოს კომისია და ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, ერთობლივი სამხედრო წვრთნები და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა.

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის უზრუნველსაყოფად, ასევე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროკავშირთან დაახლოება. ამ კუთხით აღსანიშნავია აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს წარმატებული მონაწილეობა. ხაზგასასმელია მუშაობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე, ღრმა და ყოვლისმომცველ ვაჭრობაზე მოლაპარაკებების დაწყება, ევროკავშირთან ვიზების გამარტივების პროცესის დასრულება და დიალოგის დაწყება უვიზო რეჟიმის შესახებ.

ყოველივე ეს ის ფუნდამენტია, რომელსაც პერსპექტივაში უნდა მოჰყვეს ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრაცია ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში.

ამასთან ერთად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული ინიციატივა მნიშვნელოვანი პლატფორმაა ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთი სტრატეგიული პრიორიტეტის, რეგიონული კავშირურთიერთობებისა და ინტეგრაციის განსახორციელებლად. საქართველოს სასიცოცხლო სივრცე შავი ზღვის არეალი და კავკასიაა. შესაბამისად, ამ რეგიონში არსებული უსაფრთხოების პრობლემატიკის დაძლევაზე ზრუნვა და კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის ხელშეწყობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ამოცანად რჩება.

19. სტრატეგიული თანამშრომლობა: *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან /ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის, სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს*

გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორია. ეს თანამშრომლობა ეფუძნება საერთო ფასეულობებსა და ინტერესებს: შეერთებული შტატები გამოხატავს და ახორციელებს ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ისევე, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის მხარდაჭერას, იგია, აგრეთვე, თავისუფლების იდეალების გამავრცელებელი და ქომაგი მთელ მსოფლიოში.

შესაბამისად ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან არის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-თან თანამშრომლობა დემოკრატიის ხელშეწყობის, უსაფრთხოების და ეკონომიკის სფეროში. განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ის მხარდაჭერა ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის საკითხში. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დაინტერესებულია პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებით, მათ შორის, მოლაპარაკებებით შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე.

ერთობლივმა ენერგეტიკულმა, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებმა ხელი შეუწყო სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბებას აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის. ეს პროექტები ხელს უწყობს ორი ქვეყნის სტაბილურობასა და კეთილდღეობას. აზერბაიჯანთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გასაძლიერებლად. ორ ქვეყანას შორის კავშირი არა მხოლოდ ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევას, არამედ რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებას ემსახურება. ჩვენი მიზანია საქართველო-აზერბაიჯანის სატრანზიტო პოტენციალის სრულად ათვისება და ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერება.

თურქეთი საქართველოს წამყვანი რეგიონული პარტნიორია. ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბდა მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური, სავაჭრო, ენერგეტიკული და სატრანსპორტო კავშირები. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში თურქეთთან ურთიერთობის განვითარებას, იგი, როგორც ნატოს წევრი მეზობელი ქვეყანა, საქართველოს სამხედრო პარტნიორია.

უკრაინა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია ეკონომიკურ საკითხებში. ჩვენ მივესალმებით უკრაინის მონაწილეობას ევროკავშირის ,,აღმოსავლეთის პარტნიორობაში".

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ისტორიულ და კულტურულ გამოცდილებაზე, ასევე, პრაგმატულ სამეზობლო ინტერესებზე დამყარებული თანამშრომლობა სომხეთთან.

ამ და სხვა რეგიონულ თუ გლობალური გავლენის მქონე დემოკრატიულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა აისახება და ემსახურება რეგიონულ და ზესახელმწიფოებრივ დემოკრატიულ ინსტიტუტებთან საქართველოს ინტეგრაციას. ნატოში გაწევრიანება საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საგარეო-პოლიტიკური ამოცანაა. ალიანსში გაწევრიანება უზრუნველყოფს რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, ქვეყნის

დემოკრატიული მონაპოვრის დაცვას. ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული რეფორმები ხელს უწყობს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას. როგორც ითქვა, საქართველო თანამშრომლობს ალიანსთან სხვადასხვა ფორმატში და წვლილი შეაქვს სამშვიდობო ოპერაციებში, რაც შემდგომი თანამშრომლობის გაძლიერებასა და გაღრმავებას უწყობს ხელს.

20. რეგიონული თანამშრომლობა: *რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?*

ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ საქართველომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობას. თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ნაბიჯებით ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის გადაქცევას ეკონომიკურად მიმზიდველ, მშვიდობიან და უსაფრთხო რეგიონად. უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ კავკასიის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით ერთობლივი მიდგომების ჩამოყალიბებას. სამმხრივი თანამშრომლობისთვის მუშაობა, ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა და საერთო ბაზრის განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონის სტაბილურობასა და კეთილდღეობას. არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას შორის არსებობს ისეთ საკითხებში თანამშრომლობის პოტენციალი, როგორებიცაა ერთობლივი ძალისხმევა საერთაშორისო ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ბრძოლა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება. აღნიშნული ურთიერთობები გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს სამმხრივ ეკონომიკურ თანამშრომლობას და პოლიტიკურ დიალოგს. რეგიონში მსხვილი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას, ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა, უსაფრთხოების განმტკიცების ფუნქციაც აქვს, რაც გამოიხატება ნდობის ამაღლებით, თანამშრომლობის განვითარებით და მდგრადი ბიზნესპარტნიორობის ჩამოყალიბებით. რეგიონის უსაფრთხოებას ხელს უწყობს სამი უმნიშვნელოვანესი რეგიონული ენერგეტიკული პროექტი – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-სუფსის და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენები. ასევე, სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოსა და აზერბაიჯანის ინტერესია ნაბუკოს, ევრაზიული ნავთობის სატრანსპორტო დერეფნის, თეთრი ნაკადისა და AGRI-ს პროექტების რეალიზაცია მათში აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების რესურსების მოზიდვითა და საქართველო-აზერბაიჯანის სატრანზიტო პოტენციალის სრულად გამოყენებით.

საქართველო, აგრეთვე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთის ფედერაციის მომიჯნავე რეგიონებთან, კავკასიის ერთიანი სხეულის განუყოფელ ჩრდილო კავკასიურ ნაწილთან კონტაქტების ხელშეწყობას. საამისოდ საქართველოს პარლამენტმა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის ინიციატივით, მიიღო ჩრდილოეთ კავკასიასთან თანამშრომლობის სტრატეგია. ჩვენი ამოცანაა, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების ფარგლებში, ხელი შევუწყოთ საქართველოს მოქალაქეებისა და ჩრდილო კავკასიელთა ეკონომიკურ და კულტურულ კონტაქტებს. ჩვენ, ასევე, მივიჩნევთ, რომ

სტაბილურობის და ადამიანის უფლებათა პატივისცემის მიღწევა ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს ხანგრძლივვადიან სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს.

როგორც აღინიშნა, საქართველოსთვის მეტად აქტუალურია ორმხრივი თუ მრავალმხრივი თანამშრომლობა შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა თვლის, რომ საქართველომ უნდა შეინარჩუნოს და მაქსიმალურად გაზარდოს სტრატეგიული პარტნიორობის შესაძლებლობები უკრაინასთან. საქართველო და უკრაინა თანამშრომლობენ საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროებში არა მხოლოდ ორმხრივ, არამედ მრავალმხრივ ფორმატებშიც.

თურქეთი საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო და ეკონომიკური პარტნიორია. საქართველოსა და თურქეთს შორის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობისა და უვიზო მიმოსვლის რეჟიმები. ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას და ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სხვა პროექტების წარმატებით განხორციელებას ორივე ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. საქართველო და თურქეთი თანამშრომლობენ ისეთ რეგიონულ პროექტებში, როგორებიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. ასევე, მნიშვნელოვანია დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მყოფი რეგიონული ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტები, თეთრი ნაკადი და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი. ჩვენ მივიჩნევთ, რომ, ასევე, მნიშვნელოვანია კულტურის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება.

21. უსაფრთხოების პოლიტიკა: *როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?*

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიზანია, უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებისა და ინსტიტუტების უსაფრთხოება საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ვხელმძღვანელობთ საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და პრინციპებით.

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მიაჩნია, რომ საქართველოს უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესია ტერიტორიული მთლიანობა, რომელსაც საფრთხეს უქმნის რუსეთის ფედერაცია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნა, სამხედრო ბაზების მშენებლობა და მათი პოტენციალის ზრდა ნიადაგს უქმნის პროვოკაციებს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ასევე, მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება, ისევე, როგორც ამ აღიარებისა და ოკუპაციის საფარქვეშ აქ მიმდინარე ანექსიონისტური პოლიტიკა, საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა არსებული ვითარების შეცვლა და ოკუპირებული ტერიტორიების დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრირებაა. საქართველოს თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირთან და რეგიონული უსაფრთხოებისა და დემოკრატიული პრინციპების ხელშემწყობი ორგანიზაციების ფარგლებში (ეუთო, ევროპის საბჭო) და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისკენ

მიმართული ძალისხმევა ქვეყნის უსაფრთხოების უმთავრესი პრობლემების ეტაპობრივი გადაწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია.

ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული განვითარება და ქვეყანაში კანონის უზენაესობა. სხვაგვარად შეუძლებელია როგორც ქვეყნის მოქალაქეთა ძირეული უფლებების და ინტერესების დაცვა, ისე, დემოკრატიულ სამყაროში სრულფასოვანი ინტეგრაცია. ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, აგრეთვე, მიაჩნია, რომ ქვეყნის უსაფრთხოებისა და კანონის უზენაესობისთვის აუცილებელია ბრძოლა გლობალური საფრთხის, ტერორიზმის, ტრეფიკინგისა და ნარკოტიკული დანაშაულებების წინააღმდეგ.

ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ქვეყნის ენერგო დამოუკიდებლობის განმტკიცება, რომლის პარალელურადაც უნდა მოხდეს სუფთა ენერგიის წყაროების განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეწყობა.

ბიუჯეტის განაწილება: *2013-2016 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტი, პრიორიტეტების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდება:*

პრიორიტეტი	**%**
ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	35%
განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება	15%
რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი	15%
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	13%
სოფლის მეურნეობა	12%
მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება	2%
ქვეყნის ინსტიტუციური განვითარება და მისი ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა	2.5%
იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა	1%
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	2%
სხვა დანარჩენი	2.5%